არ დაიფიცოთ ტაღუთებით (კერპებით) და არც თქვენი მამებით

გადმოცემულია აბდურრაჰმან იბნ სამურასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომელმაც თქვა: გავიგონე, რომ შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ამბობდა: «არ დაიფიცოთ ტაღუთებით (კერპებით) და არც თქვენი მამებით».

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა მუსლიმმა]

მოციქული მუჰამმადი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) კრძალავს ტაღუთებით ფიცს, ტაღუთის მრავლობითი ფორმა არის ტავააღიი. ეს კერპები იყვნენ მათი ურჩობისა და ურწმუნოების მიზეზი, რომლებსაც მრავალღმერთიანები ეთაყვანებოდენ, მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ასევე კრძალავს მამებით ფიცის დადებას, რადგან ეს იყო უმეცრების პერიოდის არაბების ჩვეულება, რომლებიც ამით ამაყობდნენ და თავის წინაპრებს დიდებას მიაგებდნენ.

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/8959